

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/20

(ოქმი N17)

ქ. ბათუმი

06 დეკემბერი 2017 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს შიდა
აუდიტის სამსახურის 2018 წლის წლიური გეგმის შეთანხმების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁷ მუხლის და სსიპ
„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს შიდა აუდიტის
სამსახურის 2017 წლის 24 ნოემბრის N02-19/2466 წერილის საფუძველზე:

1. შეთანხმებულ იქნას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და
რადიო“-ს შიდა აუდიტის სამსახურის 2018 წლის წლიური გეგმა, დანართის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge“.
3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 06 დეკემბრიდან.

დანართი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და
რადიო“-ს შიდა აუდიტის სამსახურის 2018 წლის წლიური გეგმა.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიო“-ს შიდა აუდიტის სამსახურის

წლიური გეგმა

2018 წელი

სარჩევი:

1. შესავალი
2. შიდა აუდიტორული შემოწმებები
 - 1) შიდა აუდიტის ობიექტი (პროცესები/სამსახურები)
 - 2) აუდიტის სახე
 - 3) აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო
 - 4) აუდიტორული შემოწმების პერიოდი
 - 5) რესურსების განაწილება
3. მონიტორინგი

1) შესავალი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს“ (შემდეგში-მაუწყებელი) დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. შესაბამისად მაუწყებელს აქვს მანდატი გაუძღვეს საჯარო ფინანსებს, რაც აუცილებლად გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტურად და პროდუქტიულად უნდა განხორციელდეს. ვინაიდან, საჯარო დაწესებულება განსხვავდება კერძო ბიზნესისგან მისი თითოეული ღონისძიება უნდა იქნას გაანალიზებული და ალტერნატივებიდან საუკეთესო შერჩეული, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხს, დროულობას, თანასწორობას და მოქალაქების მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამისათვის, საჭიროა არსებობდეს ჩამოყალიბებული რისკების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, კომუნიკაციის, ადამიანური რესურსების და სხვა მექანიზმები, რომელიც მთლიანობაში ქმნის ეფექტურ საჯარო დაწესებულებას. ამ ყოველივეს მოიცავს შიდა კონტროლის სისტემა, უფრო კონკრეტულად ფინანსური მართვა და კონტროლი, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ ფინანსების მართვას ან კონტროლს და წარმოადგენს წესებისა და ნორმატივების ერთობლიობას, კონტროლის მექანიზმებს, სათანადო ინფორმაციის გაცვლას, რისკების მართვას და ანგარიშგებას. სისტემის დანერგვა ემსახურება მართლზომიერი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებას. ამასთან, სწორედ ეს სისტემა წარმოადგენს შიდა აუდიტის სუბიექტების დაკვირვებისა და ანგარიშგების საგანს.

მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახური რისკის შეფასებისას ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, აუდიტის გარემოს თითოეულ ობიექტთან დაკავშირებით არსებული/მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს, ურთიერთშეჯერებას და შეფასებას.

2) შიდა აუდიტორული შემოწმებები

შიდა აუდიტის ობიექტი N1:	<i>სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“</i>
აუდიტის სახე:	<i>სისტემური აუდიტი</i>
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	მივლინების პროცესის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება.
აუდიტორული შემოწმების პერიოდი:	<i>01.01.2017-01.01.2018</i>
აუდიტის ჩატარების ვადა:	<i>01.02.2018 – 01.07.2018</i>
რესურსების გადანაწილება:	<i>შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე</i>

შიდა აუდიტის ობიექტი N2:	<i>ფინანსური ეფექტიანობის სამსახური</i>
აუდიტის სახე:	<i>ფინანსური აუდიტი</i>
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	ფინანსური ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება, კერძოდ მაუწყებლის ბიუჯეტით დამტკიცებული და გაწეული ხარჯების, არასაბიუჯეტო შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის, შრომის ანაზღაურებისათვის გაწეული ხარჯების, მაუწყებლის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების, ქონებრივი ღირებულებების მოვლა-პატრონობისა და აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა.
აუდიტორული შემოწმების პერიოდი:	<i>01.07.2017-01.04.2018</i>
აუდიტის ჩატარების ვადა:	<i>01.04.2018– 01.05.2018</i>
რესურსების გადანაწილება:	<i>შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე</i>

შიდა აუდიტის ობიექტი N3:	<i>სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“</i>
აუდიტის სახე:	<i>სისტემური აუდიტი</i>
აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო:	<i>სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შემავალი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება</i>
აუდიტორული შემოწმების პერიოდი:	<i>01.01.2017-01.08.2018</i>
აუდიტის ჩატარების ვადა	<i>01.08.2018-01.12.2018</i>
რესურსების გადანაწილება:	<i>შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი</i>

3) მონიტორინგი

აუდიტის ობიექტი	რეკომენდაციის შესრულების პერიოდი	მონიტორინგის პერიოდი	აუდიტორთა რაოდენობა
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“	2018 წლის ,III კვარტალი	IV - კვარტალი	2
ფინანსური ეფექტიანობის სამსახური	2018 წლის , III კვარტალი	III-IV - კვარტალი	1
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“	2018 წლის , IV კვარტალი	IV- კვარტალი	2